

ლელა ქისტაური
ლელა ცუცქირიძე

# ნაძვი

**კითხვის დონე – 4.1** (ქართული ენა როგორც მეორე ენა)

**ტექსტის ტიპი – საინფორმაციო-შემეცნებითი**

ადაპტირებული ვერსიის ავტორი
**ნონა არევაძე-კოტორაშვილი**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისორეხვიაშვილს,რომლებმაცპაატაპაპავასხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ნაძვი მარადმწვანე ხეა. შემოდგომაზე სხვა ხეების ფოთლები ფერს იცვლის. ნაძვის წიწვები კი ისევ მწვანეა. წიწვი ნაძვისთვის იგივეა, რაც ხისთვის ფოთოლი.

ნაძვი ცოცხლობს 250-დან 300 წლამდე, უძლებს ძლიერ ყინვას. ნაძვის ნაყოფია **გირჩა**. ნაძვის ტყეს **ნაძვნარი** ჰქვია.

ნაძვი მაღალი ხეა. მისი სიმაღლე 50 მეტრს აღწევს.

## სად ხარობს ნაძვი?

არსებობს ნაძვის 40-მდე სახეობა. ის გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ჩვენთან ნაძვი ძირითადად გვხვდება კავკასიონის მთავარ ქედზე და ბორჯომის ხეობაში.

ჩვენს ტყეებში აღმოსავლური ნაძვია გავრცელებული. თუმცა პარკებსა და სკვერებში გაშენებულია მისი სხვა სახეობებიც: ევროპული ნაძვი, ჰიმალაიური ნაძვი, ვერცხლისფერი ნაძვი და სხვ.

ნაძვი გაზაფხულზე ყვავის. ყვავილიდან ვითარდება თესლი. თესლიდან კი ახალი მცენარე ამოდის. ტყეებში ნაძვი თესლით მრავლდება.

3

## ნაძვი სასარგებლო მცენარეა

ნაძვის ყვავილის მტვერი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ბორჯომის ხეობის ნაძვნარები ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით. მაისში ამ ადგილებში ბევრი დამსვენებელი ჩადის.

ნაძვს „ტანზე“ მოყვითალო წებოვანი წვეთები აქვს. ეს ნაძვის ფისია. ჩვენში მას კევს ეძახიან. ის ვარდისფერია, კრემისფერი ან ყვითელი. ეს სურნელოვანი წვეთები ძალიან სასარგებლოა. მისგან ამზადებენ წამალს, რომელიც ხველას შველის.

ნაძვის ფისისგან მზადდება ნაძვის კევი. ის სხვა საღეჭი რეზინივით არ იბერება, მაგრამ კარგი გემო აქვს.

## გირჩა

ნაძვის ნაყოფი მისი გირჩაა. გირჩაში არის ნაძვის თესლი. თესლს სიამოვნებით აკნატუნებენ ციყვები, კოდალები, ასევე სხვა ცხოველები და ფრინველები.

გირჩისგან შეიძლება სხვადასხვა ფორმის სათამაშოს დამზადება. ამისთვის მხოლოდ მონდომება და ფანტაზიაა საჭირო.

## რატომ ჭრიან ნაძვებს?

ნაძვებს ხშირად ჭრიან. ნაძვის მერქანს, იყენებენ სამშენებლოდ, ავეჯის, ქაღალდის, მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად. ყველაზე მეტ ნაძვს საახალწლოდ ჭრიან. ადამიანებს ჰგონიათ, თუ მწვანე ნაძვს მორთავენ, ყველა ნატვრა აუსრულდებათ. თუმცა დღესასწაული მალე გადის და ნაძვსაც აგდებენ. ასე გრძელდება წლიდან წლამდე.

ბევრ ქვეყანაში ნაძვის მოჭრა კანონით ისჯება.

ნაძვების და სხვა ხეების მოჭრით ნადგურდება ჩვენი ბუნება.

საახალწლოდ უკეთესია, ხელოვნური ნაძვის ხეები მოვრთოთ. მზრუნველი ადამიანები ცდილობენ, არ მოჭრან ნაძვი. ისინი საახალწლოდ თვითონ აკეთებენ ნაძვის ხეებს. ამისთვის სხვადასხვა

ნივთებს იყენებენ. რის ნაძვის ხეს აღარ ნახავთ: შოკოლადის, ველოსიპედების, CD და DVD დისკების, პოლიეთილენის ბოთლების, ერთჯერადი კოვზების, წიგნების, ბალიშების და სხვ. შენც შეგიძლია, შეარჩიო მასალა და საახალწლოდ დაამზადო ლამაზი ნაძვის ხე. ასე კიდევ ერთი ნაძვი გადაურჩება მოჭრას.